

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის მივლინება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე „გელათის მონასტერი“

23.02.2021



ანგარიშის შინაარსი:

1. ვიზიტის მიზანი და მონაწილეები
2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია
3. რეკომენდაციები

1. ვიზიტის მიზანი და მონაწილეები

2021 წლის 23 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, გელათის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე დროებითი გადახურვების ხარვეზების გამოსასწორებელი ღონისძიებებისა და პრევენციული სამუშაოების ადგილზე გაცნობა, შეფასება და სამომავლო საჭიროებების განსაზღვრა.

ვიზიტში მონაწილეობდნენ:

1. პაატა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე
2. ირაკლი ჟღენტი - კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია
3. ნიკოლოზ ზაზუნაშვილი - კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია
4. ბექა ბარამიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
5. გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
6. აკაკი ბარკალაია - კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია
7. კარენ სარქისიანი - უზრუნველყოფისა და პროტოკოლის სამსახური
8. ლაშა ჭიჭვიშვილი - უზრუნველყოფისა და პროტოკოლის სამსახური

2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი

ექსტერიერი

ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის დროებით გადახურვებსა და წყალშემკრებ სისტემაზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, სადრენაჟე სისტემის მოწყობა.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში და სამომავლოდ აუცილებელია, რომ:

1. დროებით გადახურვებსა და განსაკუთრებით ჟოლობებზე აკუმულირებული თოვლის/ყინულის მოშორება ხდებოდეს სისტემატურად. ამისათვის აუცილებელია, რომ ადგილზე მუდმივად იყოს გამართული და უსაფრთხო ხარაჩო და თოვლის/ყინულის გასასუფთავებლად აუცილებელი აღჭურვილობა.
2. ასევე, შესაძლებელია, წყალშემკრები სისტემის ჰორიზონტალურ წყალმიმღებ ღარებს დაემატოს დამატებითი ელემენტი (შესაძლოა ბადე), რომელიც დაიცავს მას თოვლის აკუმულირებისგან.
3. ჟოლობებთან დაკავშირებული სანიაღვრე მიწები მიერთებული იყოს სანიაღვრე ჭებთან და მუდმივად ხდებოდეს მათი (როგორც მიწების, ასევე ჭების) გამართულად ფუნქციონირების კონტროლი. **23 თებერვლის ვიზიტის დროს, სანიაღვრე ჭები არ ფუნქციონირებდა და საჭიროებდა დამატებით ჩარევას (ჭაში ჩამავალი მიწების გარშემო საიზოლაციო ფენის გაკეთება, წყლის ნიადაგში ინფილტრაციის თავიდან აცილების მიზნით).**
4. მყარი დროებითი გადახურვებისა და წყალშემკრები სისტემის გამართულობის მუდმივი კონტროლი და მათი გაუმართავად მუშაობის დაფიქსირების შემთხვევაში, მყისიერი რეაგირება და ხარვეზების გამოსწორება.
5. ტაძრის ქვედა ნაწილებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ აფსიდის კედლებსა და სამხრეთ და ჩრდილოეთ ეკვდერებს შორის სივრცეების მუდმივი მონიტორინგი, რათა არ მოხდეს კედლებს შორის წვიმის წყლის ან/და თოვლის დნობის შედეგად წყლის ჩადინება.
6. ფასადების, კარნიზებისა და ცოკოლის ქვების ზოგადი მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი.
7. მკლავთაშორისი ნაწილები, რომლებიც არ არის მყარი დროებითი გადახურვით დაფარული, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და თოვლის საფარისგან მუდმივად გასუფთავებას.

ინტერიერი

23 თებერვლის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის სამონიტორინგე არეებში თვალთ ხილული ცვლილება არ აღინიშნება.

2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი

ექსტერიერი

ფოტოებზე ქვემოთ, წითელი ისრებით მინიშნებულია გადახურვებზე, ჟოლობებსა და ხარაჩოზე აკუმულირებული თოვლი/ყინული, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიწმინდოს (მუდმივად). წინააღმდეგ შემთხვევაში, აკუმულირებული თოვლის გაყინვა გამოიწვევს წყალმიმღები მილების დაზიანებას.

23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი

ექსტერიერი

ფოტოებზე ქვემოთ, წითელი ისრებით მინიშნებულია აღმოსავლეთ აფსიდის კედლებსა და სამხრეთ და ჩრდილოეთ ეკვდერებს შორის სივრცეები, სადაც მუდმივად ხდებოდა წვიმის წყლის ჩადინება. ამ ეტაპზე, მყარი დროებითი გადახურვა გამართულია და საჭიროა ამ არეების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი.

23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი

ექსტერიერი

ამჟამად ტაძრის სახურავზე მიმდინარეობს მყარი დროებითი გადახურვებისა და წყლის შემკრები და გადამყვანი სისტემების მოწყობა.

23 თებერვლის მდგომარეობით, მყარი დროებითი გადახურვა მოწყობილი იყო მკლავთაშორის სივრცეებსა და აღმოსავლეთ პასტოფორიუმებზე. მიმდინარეობდა მკლავებისა და აფრების გადახურვების მოწყობის პროცესი (მზადდებოდა დროებითი გადახურვის საყრდენი ხის კონსტრუქცია).

სამუშაოს მიმდინარეობის პროცესში და სამომავლოდ აუცილებელია, რომ:

1. დროებით გადახურვებსა და განსაკუთებით ჟოლობებზე აკუმულირებული თოვლის/ყინულის მოშორება ხდებოდეს სისტემატურად. ამისათვის აუცილებელია, რომ ადგილზე მუდმივად იყოს გამართული და უსაფრთხო ხარაჩო და თოვლის/ყინულის გასასუფთავებლად აუცილებელი აღჭურვილობა.
2. ასევე, შესაძლებელია, წყალშემკრები სისტემის ჰორიზონტალურ წყალმიმღებ ღარებს დაემატოს დამატებითი ელემენტი (შესაძლოა ბადე), რომელიც დაიცავს მას თოვლის აკუმულირებისგან.
3. ჟოლობებთან დაკავშირებული სანიაღვრე მილები მიერთებული იყოს სანიაღვრე ჭებთან და მუდმივად ხდებოდეს მათი (როგორც მილების, ასევე ჭების) გამართულად ფუნქციონირების კონტროლი. **23 თებერვლის ვიზიტის დროს, სანიაღვრე ჭები არ ფუნქციონირებდა და საჭიროებდა დამატებით ჩარევას (ჭაში ჩამავალი მილების გარშემო საიზოლაციო ფენის გაკეთება, წყლის ნიადაგში ინფილტრაციის თავიდან აცილების მიზნით).**
4. მყარი დროებითი გადახურვებისა და წყალშემკრები სისტემის გამართულობის მუდმივი კონტროლი და მათი გაუმართავად მუშაობის დაფიქსირების შემთხვევაში მყისიერი რეაგირება და ხარვეზების გამოსწორება.
5. აღმოსავლეთ აფსიდის კედლებსა და ჩრდილოეთ და სამხრეთ პასტოფორიუმებს შორის სივრცეების მუდმივი მონიტორინგი, რათა არ მოხდეს კედლებს შორის წვიმის წყლის ან/და თოვლის დნობის შედეგად წყლის ჩადინება
6. ფასადების, კარნიზებისა და ცოკოლის ქვების ზოგადი მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი.

ინტერიერი

23 თებერვლის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის სამონიტორინგე არეებში თვალთ ხილული ცვლილება არ აღინიშნა, გარდა დასავლეთი მკლავის კამარაში, სამხრეთ კედელზე, ნათლისღების სცენისა; ფოტოები იხილეთ მომდევნო გვერდებზე.

2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი

ექსტერიერი

ფოტოებზე ქვემოთ წარმოდგენილია წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ოთხივე ფასადი, გადაღებული 2021 წლის 23 თებერვალს.

23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



ზემოთ: წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი.

ზემოთ: წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთი ფასადი.

23 თებერვალი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



ზემოთ: წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთი და დასავლეთი ფასადები.

ზემოთ: წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი ფასადები.


2. ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი


ინტერიერი

ქვემოთ მოცემულია, 2021 წლის 10-11 იანვრის გეგმიური მონიტორინგის, 2021 წლის 21 იანვრის არაგეგმიური მონიტორინგისა და 23 თებერვლის ვიზიტის დროს, წმ. გიორგის სახელობის ტაძრის, დასავლეთ მკლავის კამარაში წარმოდგენილი ნათლისღების სცენისა და ექსტერიერის მხრიდან შესაბამისი მონაკვეთის ფოტოები.

10 იანვრისა და 21 იანვრის ფოტოებს შორის აღმოჩენილი სხვაობა, რაც გამოიხატება თეთრი ფერის ნადების (სავარაუდოდ მარილის) ფართობისა ან/და ინტენსივობის მომატებით, აღნიშნულია ყვითელი ფერის მართკუთხედებით. 23 თებერვლის მდგომარეობით, თვალისათვის ხილული რადიკალური სხვაობა არ აღინიშნება, თუმცა აუცილებელია, დაკვირვების გაგრძელება. დაზიანების გამომწვევი სავარაუდო მიზეზია წყლის ინფილტრაცია/ტენიანობის მომატება, რაც უნდა უკავშირდებოდეს ფასადის მხრიდან კარნიზებისა და კედლის ცენტრალური მონაკვეთის დასველებას. აღნიშნული სისველე ყვითელი ისრებით მითითებულია 21 იანვარს გადაღებულ ფოტოებზე.




10 იანვარი, 2021 წ.



21 იანვარი, 2021 წ.




23 თებერვალი, 2021 წ.



10 იანვარი, 2021 წ.



21 იანვარი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.



10 იანვარი, 2021 წ.



21 იანვარი, 2021 წ.



23 თებერვალი, 2021 წ.

3. რეკომენდაციები

2021 წლის 23 თებერვალს, გელათის სამონასტრო კომპლექსში განხორციელებული ვიზიტის დროს წარმოებული დაკვირვებების საფუძველზე აუცილებელია, ღვთისმშობლის შობის სახელობის და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრებზე:

1. მიმდინარე გამოსასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების (მყარი დროებითი გადახურვების და წყალ შემკრები სისტემის) მოწყობის დასრულება და მათი მდგომარეობების მუდმივი მონიტორინგი;
2. ჟოლობებთან დაკავშირებული სანიაღვრე მილების სანიაღვრე ჭებთან დროულად დაკავშირება და მათი გამართულად ფუნქციონირების მუდმივი მონიტორინგი;
3. მყარი დროებითი გადახურვებიდან, ჟოლობებიდან და ხარაჩოს ზედა ნაწილებიდან აკუმულირებული თოვლის/ყინულის მუდმივად გადაწმენდა;
4. ფასადების, კარნიზებისა და ცოკოლის ქვების ზოგადი მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი;
5. წმინდა გიორგის სახელობის დასავლეთ მკლავის კამარაში, ნათლისღების სცენაზე გამოვლენილი დაზიანების პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

დამატებით, გელათის მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე გამოვლენილი დაზიანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 2020 წლის 11 მარტის ვიზიტის ფარგლებში განისაზღვრა გამოსასწორებელი ღონისძიებები და პირველადი საჭიროებები, რომელთა მიხედვითაც შემუშავდა მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა, ძველზე გამოვლენილ დაზიანებების შესახებ ინფორმაციასთან ერთად წარდგენილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და კომიტეტის მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად. პასუხად, წარდგენილი მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა შეფასებულ იქნა დადებითად და სახელმწიფოს ეთხოვა მისი აღსრულება. სამოქმედო გეგმა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და იკომოსის ტექნიკური შეფასება წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტების სახით.

ამასთან, სამომავლო ქმედებების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს გამოსასწორებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით 2020 წლის მანძილზე ეროვნულ სააგენტოსა და შემსრულებელ კომპანიას შორის არსებული კორესპოდენცია, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე:

<https://drive.google.com/drive/folders/1Qhbi0L3PT0GZ5VJQOEFvW1cdHr0YdZ8y?usp=sharing>

ზემოთ ჩამოთვლილი მიმდინარე და გადაუდებელი ღონისძიებების პარალელურად, აუცილებელია, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის "გელათის მონასტრის" კომპონენტების - ნაგებობებისა და არქეოლოგიური ობიექტების მდგომარეობის დეტალური შეფასება და მათი შესაბამისი საკონსერვაციო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საჭირო სამომავლო ქმედებების განსაზღვრა, ასევე, ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრა, როგორც კომპლექსის შიგნით, ასევე მის გარეთ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ იხილოთ 2020 წლის 11 მარტსა და 30 აპრილს განხორციელებული ვიზიტების ანგარიშები.